

№ 24

შინაური საქმეები.

ქოველ კანონული გაზეთი.

№ 24.

უახლესი მარტი
წლიური ფასი 5 მან.
წლის დამოკვეთა
1 მ. 70 კ.
წელიწადი მუშაობა.

25 დეკემბერი 1915 წ.

მოძახადი წლის პირველ იანვრიდან
სარწმუნოებრივი-სახოგადოებრივი გაზეთი

შინაური საქმეები

გამოვა ჩვეულებრივი ფორმატის 16 გვერდიანი.

წლიურათ ვღირება 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი.

წლიური ხელის მომწერთ შეუძლიათ დაკვეთის დროს სამი მანეთი გამოგზავნონ ხოლო დანარჩენი მაისის დამდეგს. დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რედაქციიდან ქუთაისში. უპროცენტოდ ვსთხოვთ ადგილობრივ და თბილისის ყველა რედაქციებს ეს ჩვენი განცხადება დროგამოშვებ სამკურ დაუგვიბეჭდონ და გამოცემა შეგვიცვალონ, რისთვისაც ჩვენს მხალს ვართ შთაბეჭადუხადით.

გაზეთის დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება. მისამართი: „შინური საქმეების“ რედაქცია, ქუთაისში.

რედ. მლედ. ს. მამულაძე



ქუთაისი 25 დეკემბერი.

„დადგება მადლთა შინა ღმერთისა, ქვეყანასა
 სულა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“! მე-
 როცე საუკუნეში გადმოვდექით მას შემ-
 დგ, რაც ბეთლემელ მწყესების თავზე გა-
 ისმა ეს დიდებული საგალობელი, რომ-
 მელმაც აუწყა ქვეყნიერებას, რომ დაი-
 ბადა დიდება ღვთისა, მშვიდობის მყო-
 ფელი და კაცთა შორის სათნოების დამ-
 თესი. მეოცე საუკუნეა, რაც ამ დიდ-
 ბულ საგალობელს ვიმეორებთ, მეოცე
 საუკუნეა, რაც მშვიდობის მყოფელი
 მოვიდა ქვეყნად და მოგვცა მცნებანი
 მშვიდობისა და სათნოებისანი, მაგრამ
 მშვიდობისა და სათნოებისა ჯერ კიდევ
 არა აჩნია რა ქვეყნიერებას. მშვიდობა
 ღმერთსა და კაცთა შორის დამყარდა,
 ღმერთმა იბრუნა პირი გარისხული კა-
 ცობრიობისაკენ, ჰპოვა რა-ჯეროვანი
 დაკმაყოფილება მხოლოდ შობილი ძის
 სხვერპლში, მაგრამ მშვიდობა და სა-
 თნოება არ იქნა არ დამყარდა კიდევ ქვე-
 ყანაზე, დღეს ხომ სულ წინააღმდეგს
 ვხედავთ— მთელი ევროპა იელიტება, მთე-
 ლიერთი დიდი ნაწილი ქვეყნიერებისა
 სისხლის მორევში სცურავს და ბოლო კი
 არ უჩანს ამ უბედურებას. მერე ვინ შე-
 იქნა ამ უბედურების მოთავე? ერთი სა-
 უკეთესო, განათლებული, კულტურული
 ერიევროპისა, რომელმაც თვით რო ვერ
 შესძლო სჯელოდ გამძღარიყო ძმის სის-
 ხლით, ოსმალო დაიხმარა; ოსმალო რომ-
 მელიც ისედაც დიდი ხანია სვამს და ვერ
 გამძღარა გიაურების სისხლით, ოსმალო
 რომელიც დაუძინებელი მტერია ქრის-
 ტიანობისა საზოგადოდ. და აინაცვლად
 ანგელოსთა საგალობელისა დღეს თოფ-
 ხარბაზნების გრიალიდა ისმის და ზარ-
 განმხდელი, შემადრწუნებელი ამბები

ხდება პოზიციებზე, ჯოჯოხეთური აღი-
 ტრიალებს და მუსრს ავლებს იქ, სადაც
 დღეს მაინც, ადგილი უნდა ჰქონოდა
 მშვიდობასა და სათნოებას. ადვილი
 წარმოსადგენია, თუ რას განიცდის შო-
 ბა დღეს განვითარებული მორწმუნე მე-
 ომრის გული სანგრებში; ადვილი მისა-
 ხვედრია, თუ რა მწუხარებას გრძნობს
 ამ ბედნიერ დღეს ომში წასული მამის,
 ძმის, ქმრის ოჯახობა. საერთო გლოვის
 ზარში ვერ გაარჩევ დღეს, თუ ვინ ვის
 სტირის: მამა შვილს, თუ შვილი მამას;
 ქმარი ცოლს, თუ ცოლი ქმარს, და ძმას,
 თუ ძმა დას?

და რამ წაუკიდა ეს ჯოჯოხეთის
 ცეცხლი ქვეყნიერებას, რამ გამოიყვანა
 სამოქმედოდ ჯოჯოხეთის ყველა ძალე-
 ბი ქვეყანაზე? ამ კითხვაზე ერთი პასუხი
 იყო ყოველთვის და დღესაც მას ეკუთ-
 ვნის პირველობა, ეს გახლავთ საღვთო
 მცნებების დავიწყება, ეს გახლავთ გუ-
 ლის და გრძნობათა სამეფოს გაუქმება
 და ცივი, უხეში გონების გამეფება ქვე-
 ნიერებაზე, ეს გახლავთ თანამედროვე
 ვაჭრული, კაპიტალისტური შეხედულე-
 ბა ადამიანის დანიშნულებაზე და ცხოვე-
 რებაზე საზოგადოთ; ეს არის მოყ-
 ვარული დედის— ეკლესიის დაფუ-
 ყება და მისი მადლიანი წილის
 უარყოფა; ეს არის ადვირ ახსნილი ქრის-
 თის დარღმინდობა და მოქალაქობა. ეს
 არის თანამედროვე ვაჭრული პოლიტიკის
 და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა,
 რომ ადამიანი ცხოველია და მისებრ
 უნდა აწარმოებდეს ბრძოლას ცხოვე-
 ბისათვის. და ყოველივე ამის მაწარმ-
 ებელია დღეს გერმანეთი, — ეს მეცნი-
 ერთა და ფილოსოფოსთა სამეფოა

ამასთანავე ურწმუნოებისა და უღვთოების დაუშრეტელი წყარო და ნაკადული, რომელიც მოშხამული ნაკადით რწყავს და თან შხამავს მთელ ქვეყნიერებას.

მაგრამ ცხოველ არს უფალი! მან ყოველივე კეთილი ჩვენთვის წინასწარ განიგულა და ამიტომ ვინცის რა სიკეთეს მოგვიტანს ეს ფრიად მნიშვნელოვანი და ღრმად დამაფიქრებელი, ჯერ არ ყოფილი მსოფლიო შემთხვევა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ღმერთი ბოროტებას კეთილად წარმართავს ადამიანის საბოლოო მიზნების აღსასრულებლად, რომელ არს სასუფეველი ღვთისა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. და მაშინ აღესრულება საესებით ანგელოსთა წინასწარმეტყველება, მაშინ დადგება დრო საერთო დადადებისა „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“ ამ იმედით გამსჭვალული ულოცავთ ჩვენს მკითხველებს ქრისტეს ბრწყინვალე შობის დღესასწაულს, საღამს ვუძღვნით ჩვენს დაუღალავ, მამაც და თავდადებულ არმიას, ვაქებთ და ვადიდებთ მათ ღვაწლს მომავალი მშვიდობისათვის, ვუსურვებთ მათ ბრწყინვალე გამარჯვებას მტერზე და მალე სახელოვან ზავის ჩამოგდაბას მეომარ სახელმწიფოთა შორის.

იყავნ, უფალო, წყალობა შენი ჩვენ ზედა.

შობა უფლისა.

(ეპ. ავთფანესა.)

დიდება შენდა, ღმერთო! კიდევ მოვესწარით ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს: ვიბარებდეთ და ვიშვებდეთ დღეს, წმ. ეკლესიამ, რომ უფრო ამაღლოს ჩვენი შვება

ამ დღეებში, დააწესა წინასწარი მარხვა ანუ რომელიმე შეიწროება, რომ შემავალმა ამ დღესასწაულებში, ვიგრძნოთ თავი, თითქო თავისუფალ ცხოვრებაში გამოძვალად. ამასთანავე მას არ სურს, რომ ჩვენ მივეცეთ გრძობათა დატკობას და ხორციელ განცხრომას, არამედ ისე ვატარებდეთ დროს, როგორც მოითხოვს ამ წმიდადღესასწაულების სიწმიდე. და რომ ვინმე თავდავიწყებამდი არ მიეცეს ხორციელ განცხრომას, ეკლესიამ მოგვცა მოკლე საგალობელი სადიდებლად მაცხოვრისა, რომლითაც აკავებს ხორცს და ამაღლებს სულს, უჩვენებს რა ამ აკანასკნელს ისეთ სავარჯიშო საქმეებს, რომლებიც ღირსნი არიან ამ დღესასწაულებისა: ქრისტე შობად არს, ადიდეთ და სხ. მაშ ადიდეთ ქრისტე, და ადიდეთ ისე, რომ ამ დიდებით დასტკბეს სულიც და ხორციც და ამით დაიხშოს მიდრეკილება სხვა საქმისადმი, რომელიც ვვიქადას რომელიმე კმაყოფილებას და სიხარულს.

ადიდეთ ქრისტე: ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ—შეთხზეთ ქრისტეს სადიდებელი გრძელი საგალობლები,—არა; არამედ თუ თქვენ, მზრახველი ქრისტეს შობაზე, გულის სიღრმადან უნებლიეთ ამოიძახებთ: დადგა შენდა, უფალო, რომ იშვა ქრისტე მაცხოვარი! ეს საკმარისი იქნება: ეს იქნება გულის ნაზი საგალობელი, რომელიც განვლავს ცასა ცათსა და მიახწევს ღვთისადმი. ცოტა ნათლად წარმოიდგინეთ, თუ რა ჰქმნა ღმერთმა ჩვენთვის და თქვენ დაინახავთ, რამდენათ ბუნებრივია ასეთი დადადება დღეს ჩვენთვის. ამის გაგება რომ უფრო გაგვიადვილდეს, შეუფარდოთ ამას შემდეგი შემთხვევები: საპრობილეში მყოფი შებორკილ პატიმარს მეფე თავისუფლებას დაჰპირდა. უცდის პატიმარი ერთი დღე, მეორე, ერთი თვე, წელიწადი... ვერ ხედავს აღსასრულს, მაგრამ სწამს მეფის სიტყვა და არ ჰკარგავს იმედს. ბოლოს, გამოჩნდა ნიშნები, რომ მალე—მალე გაათავისუფლებენ; პატიმარი სმენათ არის გადაქცეული: მას ესმის ხმაურობა, მხიარული მუსიკა; აი კიდევ დასკვნა და საპრობილის კარს ბოქლონნი და შემოვიდა მხსნე-

ლი. დიდება შენდა, ღმერთო! უნებლოეთ წამოიძახა პერობილიმა გულის სიღრმიდან. დადგა აღსასრული ჩემი პერობილები, მაღე ვიხილავ სინათლეს! მეორე შემთხვევა: ავთმყოფმა, შიშვე დაიარებულმა და განრღვეულმა მთელი სხეულით, ბევრი ექიმი გამოიკვალა და ბევრი წამლობა გამოსცადა; მოთმინება დაეკარგა და იგი მზათ არის მიეცეს სასოწარკვეთილ მწუხარებას. მას ეუბნებიან: არის კიდეც ერთი გამოცდილი ექიმი, რომელიც ჰკურნავს სწორეთ ისეთი სენისაგან, როგორიც მისია; ჩვენ მოვიწოდეთ იგი, დაგვიპირდა, მოვალე. სნელს სწამს, იმედი ებადება, ელის დაბირების ასრულებას... ვადის ერთი საათი, მეორე, კიდევ მეტი, შფოთავს და მწუხარება ისევე უღრდნის გულ-მკერდს... უკვე საღამოა, ვილაკ ეტლით მოადგა სახლს... მოდის... ვაილო კარი და შემოვიდა სასურველი მკურნალი... მადლობა ღმერთს! დალადებს სნეული. აი კიდევ სხვა მაგალითი: ჩამოწვა საშინელი ნისლი: გრგვინვა ძირიან-ფერვიანა არყვეს მთებს და ელვა კიდიდან კიდემდე აპობს ცის კამარას: ყველა შიშს შეუბყრია, თითქო ქვეყნის აღსასრულის წინ. გარნა, როცა უეცრად გამოიდარებს ყველა თავისუფლად ამოისუნთქებს და ამბობს დიდება შენდა, ღმერთო! მოიხლოვეთ ეს შემთხვევები და თქვენ დაინახავთ, რომ მთელი ჩვენი ისტორია მათშია. საშინელი ნისლი ღვთის რისხვისა იყო ჩვენზე, — მოვიდა უფალი მშვიდობის მყოფელი და გაფანტა ეს ნისლი. ჩვენ ვიყავით დაფარული ცოდვითა და ვნებათა იარებით, — მოვიდა მკურნალი სულისა და გაგვიკურნა. ვიყავით მონობის ბორკილებში, — მოვიდა განმათავისუფლებელი და დახსნა საკვრელნი ჩვენნი. მოიხლოვეთ ყველა ესენი, მიიღეთ იგინი გრძნობით, — და თქვენ ვერ შეიკავებთ თავს, რომ არ სთქვათ დიდება შენდა, ღმერთო, რომ იშვა ქრისტე!

არ ვატან ჩემს თავს ძალას, რომ ჩემი სიტყვებით ჩაგინერგოთ გულში ასეთი სიხარული! ამის ვერ მიახწევს ვერაფერი სიტყვა.

საქმე, რომელიც შესრულა შობილიმა

უფალმა, ყველას ეხება. ვინც უერთდება მას, მიიღებს მისგან თავისუფლებას, კურნებას და მშვიდობას, აქვს ესე ყოველი და გრძნობს მის სიტკბობას. მათ, ვინც ამას განიცდის, საჭირო არ არის უთხრათ: „გიხაროდენ“, იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ არ იხარონ; ხოლო ვინც არ განიცდის ამას, ფუჭი იქნება უთხრათ: „გიხაროდენ“; მათ არ შეუძლიათ სიხარული. ხელ-ფეხ შეკრულს რამდენიც უნდა უთხრა: „გიხაროდენ გამოხსნისათვისო“ — ვერ გაიხარებს; ცოდვითა იარებისაგან დაფარულს, საიდგან გაუჩნდება სიხარული კურნებისა? როგორ შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს ღვთის რისხვის ქუხილისაგან ზარვანხდობა? ასეთებს შეგვიძლია მხოლოდ უთხრათ: „წადით და შეუწოდით ყრმის ბაგაში მიწვენილს, და ეძიეთ მისგან გამოხსნა ყოველისაგან გარემოდგომილისა ქირისა, რამეთუ ყრმა ესე ქრისტე არს, მხსნელი სოფლისა.“

სურვილი გვექონდა ყველა გვეხილა მზიარული ამ მზიარულებით, რომ არავის სურვილი არ ჰქონოდა სხვანაირი მზიარულებისა, მაგრამ არა ყოველი ისრაილთაგანი ისრაილია. ამიტომ დაიწყება ეხლა სხვადასხვა ფუქსავატი მზიარულება, გარდარეული, ვნებათა აღმშრელი ყოველივე ამის მოყვარულთ რამდენიც არ უნდა უთხრა: „დამშვიდდითო“, იგინი ყურებში თითის დაიკობენ და არ გაგიგონებენ, და იმ ზომამდე მიიყვანებენ ბრწყინვალე დღესასწაულებს, რომ აიძულებენ მოწყალე ღმერთს გარემოიქციოს პირი თვისი ჩვენგან და გვიტხრას: „საძაგელ არიან ჩემდა ყოველნი 'დღესასწაულნი თქვენნი'! და, მართლაც, ბევრი ჩვენი განცხრომათაგანი, ქვეშაირიტად წარმართთა საძაგლებანი არიან, ე. ი. ერთნი პირდაპირ გადმოტანილნი არიან წარმართთაგან, ხოლო მეორენი, თუმცა გვიან გაჩნდენ, მაგრამ გაუღენთილი არიან წარმართთა სულით. თითქოს განძრავ ვამრავლებთ ასეთ განცხრომებს შობისა და აღდგომის დღეებში. ამით გატაცებულინი, ჩვენ ვაძლევთ თავადს ამ სოფლისას — მტანჯველს ჩვენსას, წინააღმდეგს ღვთისას საბუთს თქმად უფლისა მიმართ: რა მიუვ შე

შობითა შენითა და აღდგომითა? ყოველი მოკლენ ჩემდა! მაგრამ ხშირად გავვიაროს ხოლმე გულის სიღრმეში ფსალმუნის სიტყვებმა: განმარტდეს ღმერთთა სიტყვებთა შინა თვისთა და მძლე მქმნეს, რაღეს საჯარს მან...

ჩვენ გვიტაცებს განათლებული ევროპა. ლიახ, იქ პირველად აღდგინდა, თითქმის უკვე ქვეყნისაგან განდევნილი საბაგვლებანი წარმართანია; იქიდან უკვე გადმოვიდენ და გადმოდიან ჩვენში. შევეყნოსეთ თუ არა ეს ჯოჯოხეთის კვამლი, ჩვენ ვბრუნდებით, როგორც შეშლილები ისე, რომ ჩვენი აღარაფერი გვახსოვს. მაგრამ მოვიხსენოთ 1812 წელი: რა მიზეზი იყო, რომ ფრანკულები მოვიდენ? ღმერთმა გამოგზავნა იგინი აღმოსავლურელად იმ ბოროტებისა, რომელიც ჩვენ მათგან გადმოვიდეთ. შეინანა მაშინ რუსეთმა და ღმერთმაც შეიწყალა იგი. ეხლა, მგონი, დაიწყო ამ გაკვეთილის დავიწყება. თუ გონს მოვალთ, რასაკვირველია, არაფერიც არ იქნება; და თუ გონს არ მოვალთ, ვინ იცის, შეიძლება, კვლავ მოავლინოს ჩვენზე უფალმა ისეთივე მასწავლებლები, რომ მოგვიყვანონ გრძნობაზე და დავაყვნონ გასწორების გზაზე. ასეთია მსჯავრი ღვთის სიბართლისა: მითვე ჰკურნოს ცოდვისაგან, რითაც ვინ სცოდავს. ეს უბრალო სიტყვები კი არ არის, არამედ საქმე რომელსაც ამტკიცებს სიტყვა ეკლესიისა. იცოდეთ, მართლმადიდებელნი, რომ ღმერთი შეურაცხყოფილ არ იქნების და იხარებდეთ ღვთისა ამათ შინა შიშითა. წმიდა ჰყავთ ბრწყინვალე ღვთისაწაული წმიდა საქმეებით, შრომით და წმიდა გასართობებით, რომ ყველა მაყურებელმა სთქვას: „ღიახ ამათ წმიდა ღვთისაწაულები აქვსთ და არა რომელიმე ვარდარეული რაკვა უღვთოთა და გარყვნილთა, რომელთა არა-იციან ღმერთი“.

უნდა ეთქვას, თუ არა?

ბ. კ. ფოცხვერაშვილს თავის სასულიერო კონცერტის წინ სიტყვა წარმოუთქვამს, რომლის შესახებ მთელი ქუთაისი ორ არა თანასწორ ბანაკად არის გაყოფილი. უმეტესი

ნაწილი აუგებს ბ. ლექტორს და იმ აზრისაა, რომ არ უნდა ეთქვას ის, რაც სთქვა; უმცირესი კი, თუმცა მორცხვით და გაუბედავად, მაინც ამბობს უნდა ეთქვაო. ჩვენ გავეცანით ამ სიტყვას დედანში, რომელიც თავაზიანად გვანდო ბ. კომპოზიტორმა და უნდა აღვიაროთ, რომ უმცირესობის მომხრე ვართ და ხმა მაღლა ვღაღადებთ, რომ რაც ითქვა, უნდა თქმულიყო და უმეტესიც უნდა თქმულიყო.

მგონი ბუებრივი კანონია თავის ნაკლოვანების დამალვა, — ყოველი კაცი კი მალავს თავის სივლახებს; ყოველ ერსაც ეს სენი სჭირს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ყველაფერი გადაჭარბებული გვჭირს: არც შინ გვინდა ჩვენ უბედურებაზე მართალი დავილაპარაკოთ და არც სხვები გვინდა შევაწუხოთ ჩვენ საქიროებათა აღსარებით. შინ ერთი მეორის და საზოგადო ცუდ მხარეებს ვჩქმალავთ, გარეთ ჩვენ მებედისწრეებს ვეფარისევლებით, ელაქუტეებით, ხან აქეთ უტრიალებთ, ხან იქით, რომ ნამეტანი არ ვაწყენინოთ, ნამეტანი არ შევაწუხოთ ჩვენი მოთხოვნილებით. შინ ისეთი მესვეურები გვყავს რომლებიც გარემოების მიხედვით საკუთარ პირად ცხოვრებას აწყობენ და საზოგადო ნაციონალურ უბედურებაზე ხელს ითბობენ. და ასეთ პირებს, არა თუ არაიენ ამხილებს, აქებენ და აღიდებენ კიდევ; ჩვენი ეროვნული გაზეთებიც კი თავის სურათებიან დამატებებში მათ სურათებს ათავსებენ და ხალხს ისე წარუდგენენ, როგორც საზოგადო მოღვაწეებს. ჩვენი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელიც გუნდრუკს თუ არ უკმევენ, გვერდით მაინც თმენულობენ ასეთ პირებს და შემთხვევის დროს ყაირათს უწევენ მათ, ვითომც დიდ საქირო მოღვაწე პირებს. ჩვენი მოწინავე ინტელიგენციაც მხად არის სალდათივით ფრონტში ჩაუდგეს მართებლობისაგან ცოტად თუ ბევრად წინ წამოყენებულ ბობოლებს და მათ უნაყოფობაზე და პირდაპირ შავნებლობაზე ერისათვის კრინტსაც არ სძრავს. ასე ამნაირად გამოდის ოკრიბული სიბრძნე; „შენც სუ, მეც სუ“ და სწორეთ ამ მცნების წინააღმდეგ წასვლას უწუნებენ ბ. ფოცხვერაშვილს.

აქას წინეთ ერთი კიდევ ასე აუციინდა პატივცემულ კომპოზიტორს „შენდა საქარ-

თველო“ - საგან განაწყენებული ქართველი მოყილე სტუდენტობა. და, ვერც მაშინ და ვერც დღეს, არსებითად ვერაინ პასუხი ვერ გასცა, რაც იმის მომასწავებელია, რომ თქმული ყველაფერი სიმართლეა, სიმართლე კი, როგორც მოგხსენდებათ, თვალებს სჩხვლევს, და ეს არის, რო დროებით აყვირებს მტყუანს: აბა რა უთქვამს ბ. კომპოზიტორს ტყუილი თავის სიტყვაში! განა მართალი არ არის, რომ სასულიერობა დაკნინდა, აუზნია თავის მოვალეობას, ევლარ მიუგნია თავის მიზნისათვის,

განა ტყუილია, რომ ინტელიგენცია დასცილდა ცხოვრების ქეშმარიტ გზას, დადგა და ხალხიც დააყენა ურწმუნოების მოლიპველ გზაზე? განა ტყუილია, რომ ინტელიგენცია ჩაეფლა გარყვნილების მორავში მას შესდევ, რაც მიატოვა ეკლესია? განა ტყუილია, რომ, ვინც ზეცას ივიწყებს, ცხოველთა სამეფოს უერთდება? განა არ იცის იმავე ინტელიგენციამ, რომ სარწმუნოება-დაკარგული ერები გაქრენ, მოისპენ ქვეყნის პირიდან? იცის, როგორ არ იცის, მაგრამ, როგორ შეუძლია „ორთა უფალთა მონება, ღვთისა და მამონასი“. კაი ხანია მამონამ, დაიპყრო ჩვენი ინტელიგენციის არსები და მას აღარ სცალია სარწმუნოებისათვის, რომელიც ხორციელი სიყვარულისა და განცხრომისათვის არაფერს იძლევა. მას აღარ აინტერესებს სასულიერო ჰიმნთა უმაღლეს-ადამიანურ გრძობათა აღმძვრელი ბგერანი, იგი უფრო მეტად ხორცისამაღლელებელ ოპერეტებს პატივსცემს და თუ ბ. ფოცხვერაშვილს სასულიერო კონცერტს აპატივებს, ეს იმითმ რომ „კვიცი გვარზე ხტის.“

ღიახ, უნდა თქმულიყო, მაგრამ ვწუხვართ, რომ ცოტა თქმულა...

კანცლანი ბ. კ. ფოცხვერაშვილის კონცერტების შექმნა.

შეტის მეტად იზიდავს კაცს ყოველგვარი დარგი ხელოვნებისა, იზიდავს იმიტომ, რომ ხელოვნურად შექმნილი რამ მე-

ტად წარბეჭდი და მომხიბვლელია. გაწვრთნილი ხელოვანი, რა დარგისაც უნდა იყოს იგი-ჩაითვლება საპატიო აღმზრდელად, რომელსაც არა მცირე ალბი უჭირავს ადამიანის სულიერ განვითარებაში.

როდესაც ხელოვანი - პოეტი თავის მომაჯადოებელ ენით გადაგვიზღის რომელიმე შემოქმედებას, ამ დროს შენც უნდაური ძალი გიტაკებს და პოეზიის სამფლობელოში გადაგატრენს ხოლმე.

ან და თუგინდ ხედავ ქალაღსე დაფერადებულ მშვენიერ მხატვრობას: ცივ, სუსხიან ზამთარში თვალწინ გიდევს ცოცხალი სურათი გაზაფხულისა ყოველივე მისი სიკეკლეციით; შენც არ გინდა თვალთა მოაშორო ნაირნაირ ფერადებით დახატულ ცხოვრების საუფეთესო ხანის სურათს, ვინაიდან იგი გავიწყებს ზამთრის დაბურულ, მოღრუბლულ სურათს და მწვანით მოსილ გაზაფხულს გაგონებს.

მაგრამ არსებობს ერთი უპირველესი დარგი ხელოვნებისა - მუსიკა, რომელიც ჩაითვლება პირველ წყაროდ, საიდანაც ადამიანს შეუძლიან ამოსწუროს მისთვის სასარგებლო ნექტარი. მუსიკის ტკბილი ჰანგების სმენით წუთით მაინც გავაწყდება აღმუთებელი ცხოვრება და სულის სიმშვიდეს პოულობ, როდესაც იმავ დროს მუსიკის მელოდიები ვიმონებს და ათასნაირ მოგონებებს აღვიძრავს.

აი, თუგინდ თქვენს თვალწინ სდგას ერთი მომღერალი და ტკბილ ჰანგებს ნაზად უკრიმანჭულებს, - ყური დაუგდეთ ამ დროს თქვენი გულის მოძრაობას? გულს ამ დროს თითქოს რაღაც უნდა, რაღაც სწყურია, ის დევლავს; შეწყდა სიმღერა და თქვენი გულიც თითქოს მოსვენებას პოულობს და ისღა გრჩებათ, რომ გულწრფელი ხობა შეახსათ. მომღერალს თქვენში გამოწვეულ ასეთ განცდისა გამო. ღიახ! განცდაა მთელი მუსიკა...

როგორც რომელიმე მუსიკოსი ვანიცდის მისიერ შექმნილ მუსიკის ყოველივე ბგერას, ისე მსმენელიც, - თუკი რასაკვირველია მასსაამისო მომზადება შესწევს. მსმენელი მუსიკანი უნდა გრძობდეს თავის სულის მონათე

სავე; თავის გულის მახლობელ რამეს. მსმენელის სულის გამოძახილი უნდა იყოს მუსიკაც და ყოველივე ამისთვის საჭიროა მუსიკა—ეროვნული.

„ის ერი მკვდარია, რომელ ერსაც ეროვნული მუსიკა არა აქვსო“ სთქვა ვილჰელმ და მარტლაც უმუსიკოდ ერი არარა არის, უმისოდ ერი ველურია, ყოველივე განცდასა და გემოვნებას მოკლებული.

ამ შემთხვევაში უპირატესობა ყოველ ერზე ქართველ ერს ეკუთვნის.

ნამდვილი მუსიკალური ერია ქათველი ერი, მუსიკა მთელი ბუნება საქართველოსი; აქ ყოველა ხე, ტყე, ბალახი, ბუჩქნარიც კი მღერის და ამ სიმღერით თითქოს შემოქმედს მადლობას სწირავს ასე ღამაზად გაჩენისათვის. თვით გაშმაგებული, აღრიალებული ზღვა და მდინარეც აქ მუსიკაა; მთებიდან გადმომდინარე რაკარა ნაკადულები ხომ სინაზის და სიმშვენის მთელი სიმფონიაა. და მაშინ-კი, როდესაც მშობლიური მხარის-საქართველოს ნივთი ქროლავს დაიწყებს და ფოთოლნიც ამ ქროლვაზე მარმონიულად აშრიალდებაან—აქ ხომ ზეციური ჰანგებით სავსე მუსიკა ჩაგწვდებათ ვულში.

ბუნებასთან შეფარდებულია აგრეთვე ქართველი ადამიანიც: როგორც თვით ფრინველთა ქიკიქს, ბულბულთა სტვენას საზღვარი არა აქვს, როგორც მწვანით მოსილ მთებში, ღრმა ხეობებში, მოჩუხჩუხე მდინარე ნაკადულებით იპოვით მრავალ-ფეროვნებას, ისე ქართველი ადამიანის ბუნებაც მრავალ-ფეროვანი მუსიკა არის. ქართველ კაცში, ჩვენ ვპოვებთ ტკბილ გრძნობათა სიკარბეს—ქართველი მუდამ იმდერის, მხიარულობს, მაგრამ რა უყოთ, თუ დღეს-დღეობით გული უკვდება ნესტანის ტყვეობაზე!

მდიდარია მუსიკალური გრძნობა ქართველი ერისა, მაგრამ, როგორც თვით ქართველი ადამიანი ძველია, ისე ძველია მისი მუსიკაც.

ქართველების პირველი საშუალება კერპებისადმი ღმრის თქმისთვის გალობა იყო. მომხიბვლელი გალობით შეასხმიდენ ხოლმე

კერპებს ხოტბას, მაგრამ შემდეგში, რა ქრისტიანობა დამყარდა, ღვთისადმი დიდებაც გალობის ფარგლებში ჩამოახსნეს. მთელი 15 საუკუნის განმავლობაში ეროვნული მოტივებით სარგებლობდენ ქართველნი, სანამ დროთა ვითარებამ თვისი არ ქნა და სანამ ქართველ ხალხს თვისი „მე“ არ დაეკარგა.

საუკეთესო მაგალითი წარსულ ქართველ ხალხთა მუსიკალურ ნიჭისა თვალწინ გადავიშალა თანამედროვე მუსიკოსმა კ. ფოცხვერაშვილმა. მისი სასულიერო კონცერტები ნამდვილი აღმზრდელი წყაროა გადაგვარებულ ადამიანთა ყურთა სმენისთვის.

ჩვენ თვალწინ აქ მან წამოაყენა მთელი სიძლიერე ეროვნული მუსიკისა; აქ თქვენ თვალწინ იშლება ძველი დროის ქართველთ ნაზი, მაგრამ ღრმა და მდიდარი მელოდები: ყოველივე ნაკვით ამ მელოდებისა თქვენ ყურთა სმენას ატკობს, ატხოველებს. უსმენთ და გიკვირთ კიდევ, კიდევ ამაყობთ ქართული მუსიკის სიმდიდრით.

პირველ ყოვლისა ფარდა აიხდება და თქვენ თვალწინ სდგას ორასამდე თანამედროვე ახალგაზრდათა ჯგუფი მწკრივად და რიგრიგად ჩამწკრივებულნი, რომლებიც ვაფაციკებით შესცქერიან თვალეში ლოტბარს ამის შიშით, ვაი-თუ ჩვენმა გადაგვარებულმა ყურთა სმენამ სავსებით ვერ შეიგნო, ვერ ჩაწვდა სიღრმეს ეროვნული მელოდებისას და სავსებით ვერ შეითვისა იგიო.

მაგრამ ცოტა ხანი კიდევ და რიგრიგობისად თქვენს თვალწინ გადაიშლება მწყობრი, მშვენირად მომზადებული ხმები და თქვენც ამ დროს აღტაცებულის ნეტარებით ისმენთ ყოველივე ამას და ამავე დროს უცნაური ძალაღვთიურ გრძნობათ გაქცევსთ, გავიწყებსთ ამაოებას და ზეციურ სიამოვნებით გატკობთ. ნეტავ თუ აქვს რომელიმე ერს ასეთი მდიდარი მელოდები? ტყვილა კი არ მოაშურა წმ. ნინომ კამბარკიდან ივერიას, რათა პირველ ყოვლისა აქ დაემყარებია, აქ ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანობისთვის. წინა მიიზიდა ქარ-

თველი აღაძიანის მგრძობიარე ბუნებამ, მათმა მიღრეკილებამ ყოველივე სიკეთისკენ დაბრუნდეს: ქართველთა ერთხმად აღიარეს ქვეყნად სიმართლის და ქეშმარიტების დამყარება, გაიმსჯელენ თვით შინაარსით ქრისტიანული მოძღვრებისა და შექმნეს მდიდარი, თვისივე წმიდა სულის გამოხატეული გალობაც, რათა ქება-დიდება მიეძღვნათ შემოქმედისთვის.

ცხოვრების მკაცრმა მსვლელობამ თვისი ქნა, ბედს თითქოს შეშურდა უმწიკვლო მუსიკალური პიროვნება ქართველი ერისა და ნელი-ნელ გამოაცალა მას მისი წმიდათა-წმიდა მაგრამ ახალ შეგნებულ საღვთაბრძოლა ძალების წყალობით ცხოვრების მსვლელობა კვლავ წალმა შემოატრიალებს ცხოვრების ჩარხს და მშობელ ერს ისეთ პირებს შოუვლენს, რომელნიც ბ. ფოცხვერ-შვილისებურად შესძლებენ დაანახონ ქართველ ერს მშობლიური სხივები ნიშნად მომავალი კანთიადისა.

ბ. მჭედლიძის ქალი.

გვირილამ - გვირაშდე.

საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი პლატონი, რომელსაც ბრილიანტის ჯვარი ებოძა.

ტელეგრამის ცნობით 9 დეკ. სინოდი თანახმა გამხდარა ალავერდის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენაზე და კანდიდატათ არხიმანდრიტი პიროსი დაუსაყდრებია ხსენებული არხიმანდრიტი უკვე პეტრიტურგს გაემგზავრა საკურთხად.

ძველი აფხაზი ბაღ აფხაღ. ამ რამოდენიმე თვის წინათ ხონის საბლოლოინოს სამღვდლოებას თავის კრებაზე განაჩენი დაუდგენია, რომლითაც მოუთხოვია კანონის ძალით მოწვეულ იქნეს სამღვდლო-

ნებართულია სახედრე ცენტურისაგან.

ების კრება მიმდინარე საქმეებს მოსაწესრიგებლად. ისეთი დადგენილება პირველია ჩვენი სამღვდლოების ცხოვრებაში; როგორც თავისი გაბედულობით, ისე იმ მიზეზებით, რომელთაც გამოიწვიეს იგი. მართლა რომ წარმოუდგენელია, როგორ თავის ნებაზე ატრიალებენ ზოგიერთები უმაღლესად დამტკიცებულ კანონებს, როგორ უზღუდავენ ხალხს უმაღლესად ნაბოძებ უფლებებს.

გაუწრთხედა მკაფიანებმა. სამღვდლოება გვინავს გაუწრთხელი მკაფიანებების ხელში. განსაკუთრებით უკანასკნელად გამოჩენილი მკაფიანებები ვერ აკმაყოფილებენ სამღვდლოების მოთხოვნებს. ფრიად საჭიროა ყურადღება შექცეს ამ გარემოებას. რა თქმა უნდა მკაფიანებს არ სთხოვენ არა თუ საღვთისმეტყველო შეცნობებს, არამედ უბრალო ზაკონბოესაც კი, მაგრამ ტიბიკონისა, ვალობისა და კითხვის უცოდინარობა პირდაპირ მოუტყეველი დანაშაულია.

სიონის დეკანოზს მ. ტყემალაძეს ტელეგრამა მისვლია ბესარაბიის სამღვდლოებისაგან, რომელშიდაც ქებით იხსენიებენ მის შეუფხვას არხივისკოპოზს პლატონს და ულოცავენ საქართველოს ასეთ კეთილ მწყემსთავარს, როგორც არის პლატონი. მისი შეუფხვა უკვე გამოსულა კონსტანტინოპოლიდან.

ახლო მომავალში კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი ქართულ კულტურის მოყვარულთა კრებაზე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე რელიგიური განწყობილება ქართველი ერისა“

რედაქტორი მღვდელი ს. მჭედლიძე.
გამომცემელი ი. ლევაფა.

სტამბა „ძმობა“ ქარვასლ. ქ. საბ. ჩაიქოვისა.